საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №101/ნ

2024 წლის 12 ივნისი

ქ.თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების”:

1. მე-2 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:

,,მუხლი 2^1. სკოლის მიერ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამის ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება

სკოლა უფლებამოსილია დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა.”.

2. მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარისი ,,$ე^1$” ქვეპუნქტი:

,,$ე^1$) შეიმუშავებს და ამტკიცებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, პროფესიული მომზადების პროგრამას ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამას, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.”.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი